

# საბა

2023




გილოცავთ!



N1 (349)

საბა მთელი კათოლიკური ეკლესიის ქადაგის ყავნის განხილვის გარეშე  
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA



## სარჩევი

ეპისკოპოსის სამობაო	
მილოცვა.....	3
იხდის მონაცემი.....	4-5
კათოლიკური ეკლესია	
მსოფლიოში.....	6
ჩვენი ეკლესია.....	7-9
იანვრის მანსაკუთრებული დღეები .....	10-12
ჩანართი:	I-IV
იუბილე.....	13
ხსოვნა .....	14-15
კათოლიკური	
კულტურის .....	16
საბაზის მვერდი.....	17
საიუბილეო პირნი.....	18-19



ჩვენი

ეკლესიის

შეოვება

იუბილე

- |           |   |
|-----------|---|
| <b>1</b>  | იანვარი - ლვთისმშობლობა, მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე  |
| <b>6</b>  | იანვარი - ლვთის გაცხადება; მეუფე ჰუზეპე პაზოტის ეპისკოპოსად კურთხევის 25 წლისთავი                                     |
| <b>12</b> | იანვარი - უფლის ნათლისლება  |
| <b>12</b> | იანვარი - იეზუიტ მ. ჰარვეი ლორიერ კრისტის გახსენება (+2016)   |
| <b>18</b> | იანვარი - ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი   |
| <b>24</b> | იანვარი - ერთობლივი ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის   |
| <b>23</b> | იანვარი - ყოვლადწმიდა მარიამისა და წმიდა იოსების ქორმინება  |
| <b>25</b> | იანვარი - წმ. პავლეს მოქცევა, ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული, არალში მეშურნეობის ეკლესიის დღეობა |
| <b>26</b> | იანვარი - რიგითი მე-3 კვირადღე ლვთის სიტყვისა   |
| <b>27</b> | იანვარი - წმ. ნინოს დღესასწაული, საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მფარველი, წმ. ნინოს დღების კონგრეგაციის მფარველი    |
| <b>31</b> | იანვარი - წმ. იოანე ბოსკო, სალელ მამათა და დედათა კონგრეგაციების დამაარსებელი   |

**უურნალ „საბას“ რედაქცია გილოცავთ  
შობა-ახალწელს!**  
 დაე, 2025 წელი მშვიდობის, სიკეთის,  
 სიხარულისა და ბედნიერების მომტანი  
 ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისა და  
**სრულიად საქართველოსათვის!**

# საშობაო ყლორტები...

„გამოვა ყლორტი იესეს ძირკვიდან და ნორჩი ამონაყარი მისი ფესვებიდან“ (ეს 11,1-10). ეს ბიბლიური სიტყვები გაისმის ხოლმე შობის დღესასწაულზე და იმედით გვაგსებს, ერთი შეხედვით, დაბერებული სამყაროს წინაშე. შესაძლოა, კუნძიც და ყვავილიც მკვდარი გეჩვენოს, მაგრამ იმ წუთას, როდესაც შეხედავ ყლორტს, მიხვდები, რომ სიცოცხლეს უმარჯვია. შობა, იესოა ნაწინასწარმეტყველევი და ჩვენთვის დაბადებული კვირტი!

საშობაო ძახილი წლევანდელი მსოფლიოსა და ჩვენი საქართველოსთვისაც ესაა - არსებობს იმედი, მიუხედავად იმისა, რასაც ვხედავთ და განვიცდით. ამდენი ტანჯვა და მზარდი კონფლიქტები, ძალმომრეობა, უსამართლობანი გარს გვახვევია და იწვევს დიდ ტკივილს, მძულვარებასა და იმედგაცრუებას. ისინი თითქმის ყოველთვის გამოწვეულია ადამიანური თავკერძობით, ძალაუფლებისა და სიმდიდრის უსამართლო ამბიციებით, (...). წარსულისგან ვერაფერი გვისწავლია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცნობთ ისტორიის გაკვეთილებს. ვუფიქრდებით კი ამას?! თითქოს არ იყოს საკმარისი ყოველდღიური სირთულები, ჩვენ ვდგავართ წარმოუდგენელი და დაუჯერებელი მსოფლიო კონფლიქტის ზღვარზე!

ამ კონტექსტში რთულია, ძალზე რთულია იმედზე ლაპარაკი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მრავალი სახე, რომელთაც ქუჩაში ვხვდები, ჩამქრალი, იმედგაცრუებული, ცარიელი, უიმედოა.

არადა იმედი არსებობს. შობის თქმა ნიშნავს იმედის თქმას, აქ და მსოფლიოს ყოველ კუთხეში! შობის თქმა ნიშნავს, გწამდეს ის ყლორტი, რომელიც იბადება.

ეს იმედი როდი ეყრდნობა იმ გაერთიანებებსა და შეთანხმებებს, ადამიანები რომ ამყარებენ ერთმანეთთან და რომლებსაც ასე იოლად თელავენ ამბიციების გამო. ლაპარაკია იმ დიდ კავშირზე, რომლის დადებაც გადაწყვიტა ღმერთმა კაცობრიობასთან. ეს ყველაზე ხელსაყრელი შეთანხმებაა, რაც კი შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან თავად ღმერთი იღებს ვალდებულებას - რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა დაგვემართოს -, შეგვეწიოს, დაგვიცვას, მოგვცეს ძალა და სიცოცხლე სამყაროს თუ მასში შემავალ ყოველ ადამიანს. იგი ამას აკეთებს საკუთარი განხორციელებით, როცა ხდება ადამიანად ჩვილ იესოში, იბადება ბაგაში და ამგვარად აცხადებს თავის გადაწყვეტილებას, იყოს უპოვარი უპოვართა და უძლურთა შორის, რომლებიც არი-



ან მისი რჩეულები. განხორციელებით იესო ხდება ადამიანი და კაცობრიობა, ყოველი კაცი თუ ქალი, მოყვანილია მისი სიყვარულის შუაგულში. აი, რას ემყარება ჩემი იმედი!

თუმცა ამ ყლორტში უნდა ამოვიცნოთ სხვა მრავალი მცირე ყლორტი, ჩვენ შორის რომ ალმოცენდება მაშინ, როდესაც მავანი დაიხრება სხვის სატანჯველისაკენ, როდესაც მავანი იბრძვის სიმართლისა და სამართლისათვის, საკუთარ ანგარებაზე უარის თქმით, როდესაც მავანი ხდება მშვიდობის მაშენებელი თავის სამუშაო ადგილზე, როდესაც მავანი მიდის პოლიტიკაში მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარად გამოადგეს საზოგადოებას, როდესაც მავანი დგება სიმართლის დასაცავად, როდესაც დედა ირნმუნებს, რომ მასში ჩასახული სიცოცხლე წმიდაა და სალვო, როდესაც... როდესაც... აი, ის ათასობით მცირე ყლორტი, რომლებიც იმ ყლორტში არის ჩანერგილი, ან ასახული. აი, იმედის ყლორტები! ისინი ბევრს არ ხმაურობენ, თუმცა ცოცხლებია და მათ აქვთ მომავალი! აი, შობა!

გილოცავთ შობას!!! შენც შეგიძლია იყო იმედის ყლორტი!

+ ეპისკოპოსი ჭუმებე გაზომო  
ლათინ კათოლიკოთა კავკასიის  
სამოციქულო ადგინისტრაციი

# იმადის მოწვევი საქართველოდან

## ნუბიარ ბარიაზელიძე

ეძღვნება მისი მაღალყოვლადუსამლელოესობის, მეუფე ჯუზეპე პაზოტის ეპისკოპოსად კურთხევისა და მარადიულ ქალაქში ქართველი კათოლიკების პირველი საიუბილეო მომლოცველობის 25-ე წლისთავს

მორწმუნე ადამიანი იმედიანად გრძნობს თავს კათოლიკე ეკლესიის წიაღში, მიუხედავად იმ მრავალი სხვადასხვა წინააღმდეგობისა და გამოწვევისა, რასაც ყოველდღიურობა უგზავნის მას გამოსაცდელად.

მეოთხედი საუკუნის წინ საქართველოს ადგილობრივ კათოლიკე ეკლესიასა და მის მრევლს, თითქმის ერთდროულად, იმედის სამი მნიშვნელოვანი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნიშანი მიეცა: პირველი - 1999 წლის ნოემბერში პაპი იოანე-პავლე II ესტუმრა საქართველოს; მეორე - სამოციქულო ადმინისტრაციონი, მამა ჯუზეპე პაზოტო პაპმა ეპისკოპოსად გამოარჩია; მესამე - პირველად ისტორიაში, საიუბილეო წელს, საქართველოდან რომში გაემგზავრა კათოლიკე მომლოცველთა ჯგუფი.

იოანე-პავლე II-ის ვიზიტი იყო უდიდესი იმედი კონკრეტულად საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის კათოლიკე თემისათვის, იმედი იმისა, რომ ადგილობრივ კათოლიკებს, რომელთა რიცხვიც ორმოცდათი ათასს აღნევდა, და ათწლეულების მანძილზე ჯერ საბჭოთა სახელმწიფოს, ასევე, საქართველოსა და სომხეთის ადგილობრივი დომინანტი ეკლესიების მხრიდან შეზღუდვებს განიცდიდა, თავისუფალი განვითარების საშუალება მიეცემოდა, იყო იმედი, რომ პაპის ვიზიტთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდებოდა რესტიტუცია და ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფო სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაუბრუნებდა საბჭოთა რეჟიმის დროს ჩამორთმეულ საკულტო ნაგებობებს. ასევე, იყო იმედი თავად საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებისა და მსოფლიოსათვის გაცნობისა. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში ზოგს აღბათ საერთაშორისო ვალების ჩამონერის, ახალი ტრანსების გამოყოფის იმედიც ჰქონდა, თუმცა ამ იმედის განხორციელებისათვის სახელმწიფოს კათოლიკე ეკლესიის პრობლემების მოსაგვარებლად ნაბიჯი არ გადაუდგამს.



1999 წელს, პირველად მსოფლიო ისტორიაში, რომის პაპი იმ რეგიონს ესტუმრა, სადაც მანამდე პონტიფიცებს ფეხი არ დაედგათ. საქართველოში იოანე-პავლე მეორის ვიზიტი იყო ისტორიული და დიდი იმედის მომცემი, როგორც ამ ვრცელი რეგიონის, ისე საქართველოს კათოლიკებისათვის. და მართლაც, 25 წლის გადასახედიდან, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსა და კავკასიის კათოლიკეთა უმთავრესი იმედი ადგილობრივი ეკლესიების აღორძინებისა გამართლდა და ჩვენ ამ იმედის მონმენი ვართ.

საიუბილეო წელი - სრულიად გამორჩეული გახლდათ 2000 წლის საიუბილეო აღნიშვნა. ეს წელი არა მხოლოდ ახალი საუკუნის, არამედ ახალი ათასწლეულის, მილენიუმის, დადგომის თარიღს წარმოადგენს. ქრისტიანობის ქრონოლოგიას თვალს თუ გადავავლებთ, ვნახავთ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დაწყებისას ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ათასწლეულის ბოლოს კი ქრისტიანული ეკლესია ევროპაში გაბატონებული იყო. ქრისტიანები მეორედ მოსვლის მოლოდინში ძრნოლით ელოდნენ მე-1000 წლის დადგომას; მეორე ათასწლეულის ბოლოს კი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ორ მილიარდზე მეტი ქრისტიანი, მათ შორის, მილიარდ სამასი მილიონი კათოლიკე, იმედით ელოდა მილენიუმის დადგომას

და ამ წმინდა წელს რომში მომლოცველობასა და ცოდვების მიტევებას.

საიუბილეო წლის საზეიმო აღნიშვნა და რომში მომლოცველობა რომის პაპ ბონიფაციუს VIII-ეს მიერ დადგინდა 1300 წელს. პირველ მომლოცველთა შორის იმ ეპოქის მრავალი ცნობილი ადამიანი იყო, ჯოტო, ჩიმაბუე, დანტე ალიგიერი. საუკუნეთა განმავლობაში მილიონობით კათოლიკემ მოილოცა რომის ოთხი მთავარი ტაძარი. სამნუხაროდ, საქართველოდან მარადიულ ქალაქში მომლოცველობა განვლილი საუკუნების განმავლობაში ვერასდროს განხორციელდა. მხოლოდ 2000 წელს, მილენიუმის საიუბილეო წელიწადს, ანუ განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან უამს, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ძალისხმევით, საქართველოს სხვადასხვა სამრევლოდან ორმოდაათამდე კათოლიკემ, პირველად ისტორიაში, განახორციელა მომლოცველობა მარადიულ ქალაქში, პაპის მიერ აღვლენილ წირვასაც დაესწრო და, რაც მთავარია, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის უშუალო მონაწილეც შეიქმნა. **ჩვენ ამ ახდენილი იმედის მოწმენი ვართ.**

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში იოანე-პავლე II-ის ვიზიტმა და მასთან დაკავშირებულმა მთავარმა იმედმა, ყოველ შემთხვევაში, იმ კონკრეტულ ნაწილში, რაც უშუალოდ წმიდა საყდარსა და პაპზე იყო დამოკიდებული, ადგილობრივი კათოლიკე თემის მოლოდინი გაამართლა. ამ ვიზიტის უმთავრესი შედეგი გახდათ 9 ნოემბერს, საზეიმო წირვის დროს, იოანე-პავლე II-ის მიერ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორის, მამა ჯუზეპე პაზოტოსათვის ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭება. 2000 წლის 6 იანვარს, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში, უკვე საქართველოდან ჩასული კათოლიკე მომლოცველები უშუალო მოწმენი და მონაწილენი შევიქენით დიდი ისტორიული ფაქტისა, რომის პაპის მიერ კავკასიისა და საქართველოს ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის ეპისკოპოსად კურთხევისა. ეს იყო რომის პაპისა და წმიდა საყდრის ზრუნვისა და თანადგომის გამოხატვის ნათელი ნიშანი. ამგვარად, ხუთსაუკუნე-ნახევრის იძულებითი ინტერვალის შემდგომ, საქართველოს კათოლიკეებს მოგვევლინა ჩვენი ეპისკოპოსი, რომლის რეზიდენციაც ახლად აღდგენილი და ნაკურთხი თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარი შეიქმნა. ეს იყო ადგილობრივ კათოლიკეთა საუკუნოვანი იმედის აღსრულება და **ჩვენ ამ იმედის აღსრულების მოწმენი ვართ!**

რა ისტორიულ დატვირთვას ატარებდა საქართველოს კათოლიკეთათვის სამოციქულო ადმინისტრატორის, მამა ჯუზეპე პაზოტოს ეპისკოპოსად კურთხევა? აუცილებელი იყო ეპისკოპოსის მწყემსმთავრობა ადგილობრივი ეკლესიის სათავეში, ეკლესიისა, რომელიც, საბჭოთა 70-წლიანი ტყვეობისაგან (ეს 70 წელიც ერთგვარად სიმბოლურია და ავინიონის ტყვეობასთან ინვენი აღუზია) ახლად თავდასწილი, ხელახალ ფორმაციას განიცდიდა, რადგან მას, როგორც ისტორიულად არსებულ, მაგრამ მაინც კონფესიურ უმცირესობას, ლეგიტიმური დამკვიდრება და აღორძინება სჭირდებოდა. განვლილი 25 წლის განმავლობაში ეპისკოპოსმა ეს შეძლო და დიდი წარმატებითაც. დღეს ჩვენ ამ იმედის აღსრულების მოწმენი ვართ!



## სამობავი ნაძვის ხე და ბაზა წმიდა პეტრეს მოედანზე

7 დეკემბერს, დილით, პავლე მეექვსის დარბაზში გაიხსნა ბეთლემის ოსტატების მიერ დამზადებული ბაგათა გამოფენა. საგნებისა და პეტრონასების შექმნისათვის ავტორებმა გამოიყენეს ლითონი, ზეითუნის ხე, სადაფი და სხვადასხვა სახეობის ქვა. საღამოს კი, წმიდა პეტრეს მოედანზე, ვატიკანის საგუბერნატოროს პრეზიდენტმა, კარდინალმა ფერნანდო ვერგეს ალგასამ და ამავე უნიკების გენერალურმა მდივანმა, მონაზონმა რაფაელა პეტრინიმ საზემოდ გახსნეს საშობაო ნაძვის ხე. 29-მეტრიანი ნაძვის ხე ამოიტანეს ტრენტინოს პროვინციიდან, ლედროს დაბლობიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრენტინოს ეკოლოგიურმა ორგანიზაციებმა კამპანია გამართეს ნაძვის მოქრის წინააღმდეგ. მათ ღია წერილით მიმართეს უწმიდეს პაპს და „ამ უსარგებლო მსხვერპლის შეჩერებისაკენ“ მოუწოდეს. თუმცა ლედროს მერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ნაძვი, მისი კონდიციიდან გამომდინარე, უნდა მოქრას ევროკავშირის სატყეო მეურნეობათა მართვის რეგულაციების თანახმად. ამ ნაძვის ხის მოქრა და წმიდა პეტრეს



მოედანზე სწორედ ლედროს ტყის ეკოსისტემაზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი. 2024 წლის შობისთვის მთავარი ბაგა გორიციის ეპარქიის ქალაქ გრადოს ოსტატებმა დაამზადეს. მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო რმოცვა მოხალისებ, მათ შორის, მოქანდაკეებმა და მხატვრებმა.

## უწმიდესი ფრანცისკუ ეპისკოპოსთა


### სინოდის დასკვნითი დოკუმენტის შესახებ

25 ნოემბერს უწმიდესმა პაპმა ეპისკოპოსთა სინოდის დასკვნითი დოკუმენტის თანმხლები წერილი გამოაქვეყნა. ფრანცისკე მოუწოდებს ლვთისმსახურებსა და საეროებს, ყველა მორნმუნეს, ახლავე დაინტენტო თავიანთ ეკლესიებში დოკუმენტში გადმოცემული პრინციპების განხორციელება. პაპმა აღნიშნა, რომ 2021 წლის ოქტომბერში დაწყებული სინოდური პროცესი ახლაც გრძელდება ადგილობრივ დონეზე. ის ერთობის განმტკიცებასა და ქრისტეს მიერ ეკლესიისათვის დაკისრებული მისის განხორციელებას ემსახურება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამრევლოებში სამოძღვა

რო საკითხების გადაწყვეტისათვის ყოველთვის არ არის აუცილებელი დოქტრინალური დონის ჩარევა. „რა თქმა უნდა, ეკლესიის მოძღვრება ერთია, თუმცა ეს სულაც არ უარყოფს გარკვეული ასპექტებისადმი სხვადასხვაგარ მიდგომას. დასკვნითი დოკუმენტი გვაძლევს მითითებებს, რომლებიც ახლავე შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკლესიებში ადგილობრივი თავისებურებების, ტრადიციებისა და გამოწვევების გათვალისწინებით“, - აღნიშნა უწმიდესმა ფრანცისკემ.

რუსულან ბაზილიშვილი

## პარიზის ლვთისმშობლის ტაძრის ხელახლი გახსნა



დაახლოებით 20 ქვეყნის წარმომადგენელი ეს-ნობოდა პარიზის ლვთისმშობლის ტაძრის ხელახლა გახსნას 2024 წლის 8 დეკემბერს. პარიზის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ წერილში პაპმა მადლიერება გამოხატა ხელისუფლებისა და მუშების მიმართ, რომლებმაც ულამაზესი ტაძრი განადგურებას გადაარჩინეს.

მოთა მიქოდავილი

# მომლოცველობა სოფელ ახალშენში

ნანა მეგენავა

ჩვენი ეკლესიის იუბილესთან დაკავშირებით, მამა გაბრიელეს ინიციატივით, წლის განმავლობაში, ყოველი თვის 24 რიცხვში ეწყობა სხვადასხვა ღონისძიება. 23 ნოემბერს გადავწყვიტეთ მოგვენახულებინა სოფელი ახალშენი, რათა მრევლთან ერთად აღვენიშნა ახალშენობა, სოფლის დღესასწაული, გიორგობა და დღე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სამყაროს მეფისა.

დილით ადრე გავემგზავრეთ ბათუმის მრევლი. თბილი და მზიანი ამინდი იყო. გზადაგზა ვგენგმავდით შეჩერებებს. პირველად შევჩერდით ფოთში, მოვინახულეთ საკათედრო ტაძარი, ბიზანტიულ სტილში აგებული, ის თითქმის აია სოფიას ზუსტი ასლია, მაცხოვრის აღდგომის სახელობისა (ადრე ღვთისმშობლის შობის სახელობის იყო). ტაძარში აღესრულებოდა სადღესასწაულო წირვა, გიორგობასთან დაკავშირებით, ცოტა ხნით გავჩერდით, სანთლები დავანთეთ და ვილოცეთ. შემდეგ დავათვალიერეთ ფოთის პარკი, ძალიან მოვლილი, ლამაზი და სუფთა. კარგი განწყობით დავტოვეთ ფოთი და გავემგზავრეთ ხონში.

ხონში ჩასვლისთანავე მოვინახულეთ წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც მე-18 საუკუნით თარიღდება; გალავნით შემოსაზღვრული ეზო სიმწვანეშია ჩაფლული; აქაც სადღესასწაულო წირვა აღესრულებოდა, ჩვენც პატივი მივაგეთ წმიდა გიორგის, ვილოცეთ და სანთლები დავანთეთ. იქვე არის ხონის ცენტრალური პარკი, ცოტა ხნით დავისვენეთ და რომ არ დაგვგვიანებოდა, გავემგზავრეთ ახალშენში.

ახალშენში დროულად ჩავედით. წმიდა წირვა აღავლინა ყველასათვის საყვარელმა ეპისკოპოსმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ. წირვაში მონაწილეობდნენ მ. გაბრიელე, მ. აკაკი, მ. კონსტანტინე, მ. დანიელე; დიაკვნები: ედუარდი და თამაზი; ჩვენი საყვარელი დები: ანა მარია და ლორედანა. ძალიან ლამაზი საზეიმო წირვა იყო, შესანიშნავი ქადაგება და მშვენიერი საგალობლები.

წირვის დასასრულს ჩატარდა კონცერტი. დიდი მადლობა ხელმძღვანელებს. ბოლოს ბავშვებმა წარმოადგინეს თვითნაკეთი ფრანები და გაიმართა კონკურსი, ვინ ააფრენდა ყველაზე მაღლა ფრანს; ძალიან ლამაზი სანახავი იყო სხვადასხვა ფერის ფრანების აფრენა ეკლესიის ეზოში, სტუმრებმაც



ვისალისეთ. შემდგომ კი მიგვიწვიეს საზეიმო სუფრასთან, როგორც სჩვევია იმერეთის ამ კუთხეს.

დიდი მადლობა ამ პატარა სოფელს ამდენი სითბოსა და სიყვარულისათვის. დიდი მადლობა მამა დანიელეს, ეკლესიის წინამძღვარსა და ზეიმის ორგანიზატორს, ასეთი ლამაზი და სასიხარულო დღე რომ გვაჩუქა. დიდი მადლობა მამა გაბრიელეს, რომელიც მზრუნველობას არ გვაკლებს, მადლობა უფალს, ასეთი ლამაზი, მზიანი და თბილი დღისათვის. ვიაროთ ერთად! ლმერთი ჩვენთან არს!

# იყო თუ პრა მარიამი უწიდესი და უბინო?

## მამა გებრიელი ბრაგანტინი

იყო თუ პრა ის, ვინც მუცლად იღო „წმიდა“, ღვთის ძე (შდრ. ლუკ. 1, 35), პირველქმნილი ცოდვისაგან თავისუფალი, იყო თუ პრა იგი „უბინო“? მრავალსაუკუნოვან დისკუსიას, რასაც ადგილი ჰქონდა დასავლეთში, პასუხი გაეცა პაპ პიუს IX-ის ბულით Ineffabilis Deus (1854 წლის 8 დეკემბერი), რითაც განიმარტა, რომ „უნეტარესი ქალწული მარიამი, ჩასახვის პირველივე წამებში, ყოვლის-შემძლე ღმერთის განსაკუთრებული მადლითა და უფლებით და კაცობრიობის მხსნელი ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს ღვაწლის გათვალისწინებით, დაცულ იქნა პირველქმნილი ცოდვის ყოველგვარი მანკისაგან“. ამრიგად, 8 დეკემბერი, უკვე მისი ჩასახვის დღესასწაული, სრულიად კათოლიკე ეკლესიისათვის ღვთისმშობლის უბინოდ ჩასახვის ზეიმად იქცა.

სწორედ პროტოევანგელისტ იაკობის (II ს.) მიერ მოთხოვნილმა მარიამის სასწაულებრივმა ჩასახვამ ითავისუს მეუღლის, ანას, წიაღში, მე-8 საუკუნეში შექმნა იმის საფუძველი, რომ აღმოსავლეთში 9 დეკემბერს აღნიშნულიყო დღესასწაული მუცლადლება მართალი ანას მიერ ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. „აღმოსავლური ტრადიციის მამები ღვთისმშობელს ყოვლადწმიდას („პანალია“) უწოდებენ, თაყვანს სცემენ მას, როგორც „ყოველი ბინისაგან თავისუფალს, სულის წმიდის მიერ თითქმის გამოძერნილსა და ახალ ქმნილებად ქმნილს“ (კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო, თ. 493).

„ყოვლადმშვენიერის“ წინაშე შეიძლება ეს კითხვა გაჩნდეს: რატომ ის და არა ჩვენ? უბინო ჩასახვით ჩვენ აღვნიშნავთ სამების უსაზღვრო გულმონტალებას მთელი კაცობრიობისადმი. ქრისტეს მიერ ევას გამოდევნილ შვილთა მიმართ უანგაროდ გაღებული სიკეთე თავმოყრილია მარიამში.

უბინო ჩასახვა წმიდა მადლის საიდუმლოა! პირველივე წამიდან იხსნის ღმერთი მის ცხოვრებას, „წმიდას“, რამეთუ მთლიანად „მადლობისა“ მამის სულინმიდისაგან, რომელმაც მის ძეზე დაივანა. დღესასწაულზე გაუდერებული სახარება საუბრობს მარიამის წიაღში ქრისტეს ჩასახვაზე, რითაც გვიბიძგებს ჩავწვდეთ იმ დინამიკას, რაც აღესრულება იესოს მეშვეობით მარიამადდე, per Iesum ad Mariam, წმიდიდან ყოვლადწმიდამდე. მძიმე შეცდომას დავუშვებდით, თუკი ღვთისმშობლის საიდუმლოს გამოვყოფით გამოსყიდვისაგან. უბინო ჩასახვა არ აცხადებს იმას, რომ მარიამს არ სჭირდებოდა გამოსყიდვა, როგორც ყველა ჩვენგანს; პირიქით, იგი საუბრობს შეუდარებელ მადლზე, სავსებით მადლობისილებაზე, რათა ცოდვით არ დაცემულიყო. თავად მარტინ ლუთერმა, 1517 წელს, უბინოდ ჩასახვის შესახებ ქადაგებისას, ასე განაცხადებდა: „ღვთისმოსავი რწმენაა, რომ მარიამის ჩასახვა... უბინოდ მოხდა... სწორედ იმ წუთებში, როდესაც იგი სიცოცხლეს იწყებდა, უცოდველი იყო, როგორც გაბრიელ ანგელოზის სიტყვებშია გამოხატული (ლუკ. 1, 28): კურთხე-



ული ხარ შენ დედათა შორის... სწორედაც რომ სამართლიანი იყო, რომ ის, ვისგანაც ქრისტემ ხორცი შეიმოსა, რომელსაც ყოველი ცოდვა უნდა დაემარცხებინა, ყოველი ცოდვისაგან ყოფილი ყო დაცული, რადგან კურთხეული, ამ სიტყვის სრული გაგებით, ნიშნავს იმას, რაც ღვთაებრივი მადლით არის მოცემული, ანუ ცოდვის გარეშე“.

განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა ქუთაისში ეს დღესასწაული, რომლის სახელზეც არის აგებული ეკლესია, როგორც იკითხება ტაძრის წინადარბაზის თაღზე, პრონაოსზე, ლათინურად ამოკვეთილ წარწერაში; წელს საკრებულოს წილად ხვდა პატივი მიერთ წმიდა საყდრის ახალი წუნციუსი, მეუფე ანტე იოზიჩი; იგი გაუძლვა საზემო წირვას, მიესალმა მორწმუნებს და თავისი ფიქრები გაუზიარა. შემდეგ პროგრამა ითვალისწინებდა *Catholic.ge*-ს მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებას სტამბულის ქართული კათოლიკური სავანის შესახებ; მომდევნო ეტაპი იყო „**მეგობრობის სიგელის**“ გადაცემა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავიანთი აქტიური სიახლოვით გვერდში უდგანან ქუთაისის კათოლიკურ თემს. ესენი არიან: ლიანა ზამბახიძე; მანანა იობიძე; ხვიჩა ტუკვაძე; ბაია კოლუაშვილი; ავთანდილ ნიკოლეიშვილი; მერაბ კეზევაძე; ზურაბ ჯანელიძე. სიგელი გადაეცა ასევე ქუთაისის ტურისტულ სააგენტოსა და ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს. მსურს, მთელი გულით მადლობა გადავუხადო ყველას. ; სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც უგულებელყოფენ ჩვენს არსებობას, მაგრამ მათ გვერდით მოიძებნებიან ისინი, რომლებიც სხვადასხვა სფეროში გაბედულად თანამშრომლობენ ჩვენთან. მათ რიგებშია მოქანდაკე ზურაბ ჯანელიძე; მას მიეძღვნა სკულპტურული გამოფენა, რომელიც მოეწყო ეკლესიის ეზოში; გაიმართა კონცერტი ჩვენი ქალაქის მუსიკალური სკოლების აღსაზრდელთა მონაწილეობით; შთამბეჭდავი იყო მოქანდაკისა და ახალგაზრდა ხელოვნათა მოსაზრებების გაცნობა და, ზოგადად, იმ კულტურისა, რითაც ასე მდიდარია ქუთაისი, ერთგული ადამიანების ღვანლით. ალბათ ვინმე იკითხავს, კი მაგრამ ღვთისმშობლის უბინოდ ჩასახვის ეკლესია (ახლანდელი ხარების ტაძარი, რომელიც უკანონოდ გადავიდა მართლმადიდებელთა ხელში 1989 წლიდან) არ მოგინახულებიათ?

იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა შარშან და რადგან კვირადღე იყო, მოვერიდეთ მართლმადიდებელი ეპისკოპოსის შენუხებას, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაგვეყენებინა და კიდევ ახალი საპატიო მიზეზით უარი არ ეთქვა კათოლიკე მორწმუნების ცოტა ხნით ტაძარში შესვლაზე, არც ზემდგომი ინსტანციებისათვის მიგვიმართავს. თუმცა, თბილისის წმიდა პეტრესა



და პავლეს სამრევლოდან ჩამოსულ ახალგაზრდებს (აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუძილ თანადგომისათვის, ისევე როგორც „კარიტასის“ მოხალისეებს), რომლებსაც დიდი სურვილი ჰქონდათ პირველად მოენახულებინათ ეს ეკლესია, ტაძრის კარები დაკეტილი დახვდათ; 15:30 სთ-ზე ეკლესია დაკეტეს, რასაც ასევე მოწმობენ ის კათოლიკეებიც, რომლებსაც სურდათ იქ შესვლა და ლოცვა ღვთისმშობლის ქანდაკების წინაშე. ისეთი შთამბეჭდილება იქმნება, რომ ეკლესიის დახურვის ერთ-ერთი გზა იქნებოდა ჩვენი იქ მისვლა ყოველდღიურად, რათა გველოცა მე-19 საუკუნის დასაწყისში კათოლიკების მიერვე აგებულ ეკლესიაში!

მოდით, ყოვლადწმიდა მარიამს, „**უბინოდ**“ ჩასახულს, მივანდოთ ჩვენი საკრებულო, მისი მოწმუნები, მისი საქმიანობა (სამწყსო საბჭო, კარიტასი, ინერი...), მისი მეგობრები და... „**მტრები**“, ჩვენი კათოლიკე ეკლესია საქართველოში, ჩვენი ქვეყნის მომავალი; მაშინ, როდესაც ამ დღებში, სამწუხაროდ, უამრავ ადამიანს, უურნალისტს, ახალგაზრდას, მოზარდს, სასტიკად სცემენ „**პრალის გარეშე**“, არ შეიძლება მადლობა არ გადავუხადოთ მათ, რამეთუ თავიანთი იმედით მოწმობენ, რომ ამ ყველაფერს ვერ გააუქმებს ვერც მათ მმართველთა ქედმაღლობა და ვერც მათი მოქალაქეების შიში.

# მშვიდობის მსოფლიო დღე

## მამა მარიამის ბრძანები


„მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი: მოგვანიჭე მშვიდობა“ - ეს თემა აირჩია წმიდა მამამ 2025 წლის მშვიდობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით.

მშვიდობის 58-ე მსოფლიო დღე 2025 წლის 1-ელ იანვარს აღინიშნება. ამ დღის გზავნილის სახელწოდება გამოხატავს ბუნებრივ თანხმობას საიუბილეო წლის ბიბლიურ და საეკლესიო მნიშვნელობასთან და შთაგონებულია ენციკლიკებით, კერძოდ, Laudato Si' და Fratelli tutti, განსაკუთრებით ეხება იმედისა და მიტევების თემას, რაც საიუბილეო წლის გულია: მოწოდება მოქცევისაკენ, არა დაგმობის, არამედ შერიგებისა და მშვიდობის მიზნით.

სამყაროში გავრცელებული კონფლიქტებისა და სოციალური ცოდვების შეფასებისას, რაც ასე აწუხებს კაცობრიობას, ხედავ იმ იმედს, რომელიც ბუნებრივად სდევს საიუბილეო ტრადიციას ცოდვათა მიტევების, ვალების ჩამონერის თვალსაზრისით და რომელიც ეკლესის მამათა განსჯაში გამოსჭვივის, ეს ყოველივე გამოკვეთს კონკრეტულ გზებს, რაც უდავოდ მოიტანს ცვლილებებს სულიერ, მორალურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და კულტურულ სფეროებში.



მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი მოქცევით, იქნება ეს პიროვნული, საზოგადოებრივი თუ საერთაშორისო, მიიღწევა ჭეშმარიტი მშვიდობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ კონფლიქტების მოგვარებაში, არამედ ახალ რეალობაში, სადაც ჭრილობები განიკურნება და აღიარებული იქნება თითოეული ადამიანის ღირსება.



27 იანვარს მოიხსენიება წმიდა ნინო, მოციქულთა სწორი, ქართველთა განმანათლებელი, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მფარველი, წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი.

## ლოგოტიპი

წმიდაო ნინო, მთელი შენი ცხოვრება  
მიუძლვენი სულთა ხსნას, გამოითხოვე  
ლმრთისაგან, შენი შუამდგომლობით, მოქცევის  
მადლი მათთვის, ვისაც იგი ჯერ არ შეუცნია, ან  
შეუცნია, მაგრამ არ სცემს თაყვანს სულითა და  
ჭეშმარიტებით. ამენ.



**ერთიანობა არ ნიშნავს ერთგვაროვნებას**

ძვირფასო მეგობრებო, ეკუმენიზმი გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვა. ეს არის გზა, მოვალეობა, რომელიც გვიხმობს, რომ გავიხედოთ ჩვენს განსხვავებებს მიღმა და თავი შევიგრძნოთ კაცობრიობის დიდი ოჯახის ნაწილად. თავად იდეა, რომ „ეკუმენიზმი მთელ კაცობრიობასთან იდენტიფიცირებას ნიშნავს“, ერთიანობის მიმართ გვიძლიერებს პასუხისმგებელის მიერთება.

ბლობას, ეს არ არის მხოლოდ აბსტრაქტული იდეა, ეს უფრო მეტად კონკრეტული გამოც-დილებაა, რასაც ყოველი ადამიანი განიცდის, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, თავისი ის-ტორიითა და ცხოვრებისეული გზით.

არ შეიძლება კაცობრიობის დაყოფა გარკვეულ  
კატეგორიებად, თითქოს თითოეულ ჩვენგანს  
შეიძლება მივაკეროთ ისეთი იარღიყები, რო-  
გორიცაა „კარგი“ ან „ცუდი“, „სამართლიანი“  
ან „უსამართლო“, „წმიდა“ ან „ცოდვილი“. ეს  
რედუქციული ხედვა უპირისპირდება პიროვნების  
კომპლექსურობას, სიღრმესა და სილამაზეს.  
ყოველი ადამიანი უნიკალური სამყაროა, სისუს-  
ტისა და სიძლიერის, სინათლისა და ჩრდილის  
ნაზავი. ჩვენ, ყველანი, ჩვენს გზას მივუყვებით,  
არასრულყოფილნი ვართ, მაგრამ გვასულდგ-  
მულებს აზრის, სიყვარულისა და ჭეშმარიტების  
ძიება. ვერცერთ ჩვენგანს ვერ წარმოაჩენს მთე-  
ლი სისრულით რომელიმე ერთი თვისება; ჩვენ  
დღენიადაგ ვიზრდებით და ვყალიბდებით შექ-  
ნილი გამოკლილებითა და ურთიერთობებით.

ერთიანობის ძიებაში არ უნდა უგულებელყოფთ  
ჩვენ შორის არსებული განსხვავებები, პირიქით,  
უნდა დავაფასოთ ისინი. ჭეშმარიტი ეკუმენიზმი  
არის იმის აღიარება, რომ ყველა კულტურას,  
ყველა ტრადიციას, ნებისმიერ ადამიანურ გა-  
მოკდილებას თავისი წვლილის შეტანა შეუძლია



კაცობრიობის მოზაიკის გამრავალფეროვნებაში. ამ თვალსაზრისით, ერთიანობა არ ნიშნავს ერთგვაროვნებას, ეს არის ხელოვნება განსხვავებების ქცევისა ისეთ ქსოვილად, რომელიც ასახავს მთელი კაცობრიობის სილამაზეს. გობელენის ძაფების მსგავსად, თითოეული ჩვენგანი საკუთარ ფერს, საკუთარ შუქ-ჩრდილს ვიძლევით და ერთად ვქმნით სრულყოფილ და ნათელ სურათს.

ეკუმენური ვალდებულება მოგვიწოდებს, რომ გავისიგრძეგანოთ ყველა ადამიანის ოცნება, სიხარული და ტკივილი, განურჩევლად ყველასი. ეს ნიშნავს ცრურწმენის, გულგრილობისა და შიშის ბარიერების დაძლევას და იმის გაცნობიერებას, რომ რელიგიურ, კულტურულ თუ სოციალურ განსხვავებათა მიღმა, ჩვენ გვაკავშირებს სიყვარულისა და სამართლიანობის ერთი და იგივე წყურვილი. როდესაც სხვა ადამიანს ვალიარებთ ჩვენს და-ძმად, თავიანთი სიმყიფითა და მისწრაფებით, მხოლოდ მაშინ შევძლებთ ნამდვილი მშვიდობიანი საზოგადოების აგებას.

ამრიგად, ეკუმენიზმი არის კაცობრიობის მიმართ რწმენა; რწმენა იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი არასრულყოფილებისა, თითოეულ ჩვენგანს გააჩნია შინაგანი ლირსება. ეს რწმენა გამოიხატება კონკრეტულ ვალდებულებაში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში თანაგრძნობის, სამართლიანობისა და იმედის ცხოვრებისეულ მოვალეობებში. ეკუმენიზმი არ არის მხოლოდ აზროვნების გზა, ის ცხოვრებისეული გზაა, რომელიც გვიხმობს, რომ გარდავქმნათ ჩვენ ირგვლივ არსებული სამყარო და ვაქციოთ იგი ყველასთვის გულლია და ერთიანობის ადგილად.

მოდით, გადავდგათ ნაბიჯი წინ, ერთიანობის ამ ხედვისაკენ, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ქმედებით, ყველა შემსვედრის მიმართ მზაობითა და მოსმენით. ასე ნამდვილად შევძლებთ იმის თქმას, რომ ჩვენ ვართ უფრო ძმური, უფრო სამართლიანი და უფრო ერთიანი საზოგადოების აღმშენებლები.

მარტინ ბერიაშვილი

## ეკუმენიზმი ახალი ერთიანება?

იმის განხილვისას, შეიძლება თუ არა ეკუმენიზმი ჩაითვალოს „ახალ ერესად“, პირველ რიგში, აუცილებელია განვმარტოთ, რომ ეკუმენიზმი, რომელიც ფუნდამენტურად განისაზღვრება, როგორც ქრისტიანულ კონფესიებს შორის ერთიანობის ხელშეწყობის მცდელობა, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერეტიკული ქცევისა ან რწმენისაგან. ერესი გულისხმობს მოძღვრებას ან პრაქტიკას, რომელიც გადახრის დამკვიდრებულ, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ეკუმენიზმი არ ცდი-

ლობს შეცვალოს ძირითადი რწმენა ან დოქტრინები; ის ხელს უწყობს ეკლესიებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას, ქრისტიანული რწმენის არსებითი პრინციპების დაცვას.

ეკუმენიზმი მოტივირებულია ერთიანობისადმი ერთგულებით, რისთვისაც ქრისტე ლოცულობდა, რომ „ყოველი ერთ იყვნენ“ (იოანე 17, 20-23). ეს ერთიანობა, ვიდრე გულისხმობს ერთგვაროვნებას, პატივს სცემს მრავალფეროვნებას საერთო ქრისტიანული რწმენის ფარგლებში. ეკუმენური მცდელობები ემთხვევა ადრეული ეკლესიის ხედვას, როგორც ეს ჩანს ისტორიულ საეკლესიო კრებებში, რომლებიც ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ დოქტრინალური ერთიანობა ძირითადი ქრისტიანული რწმენის კომპრომისის გარეშე. გარდა ამისა, ეკლესიების ფართო მონაწილეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და დღესასწაულებში, როგორიცაა ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირა, მეტყველებს ამ მიზნის საერთო, არაერეტიკულ ხასიათზე.

საღვთისმეტყველო პერსპექტივიდან, ერთიანობა არ ამცირებს ცალკეული ტრადიციების მთლიანობას, უფრო მეტი, მას შეუძლია გააღრმავოს ურთიერთგაგება და იქცეს მშვიდობის ხიდად და არა საფრთხედ მართლმადიდებლობისათვის. ეკუმენიზმი, როგორც შერიგებისაკენ მიმავალი გზა, და



არა განხეთქილება, ესმიანება ეკლესიის მისიას, მოგვცეს ქრისტეს სიყვარულის მაგალითი და მოწმე იყოს გახლეჩილი სამყაროსათვის.

რატომ არის ეკუმენიზმი მნიშვნელოვანი?

ეკუმენიზმი მნიშვნელოვანია, რადგან ის ქმნის სივრცეს დიალოგის, გაგებისა და ერთიანობისათვის ქრისტიანულ ტრადიციებს შორის. შვეიცარიაში სწავლის ჩემმა გამოცდილებამ ეს მშვენივრად აჩვენა, რადგან კათოლიკები, პროტესტანტები და მართლმადიდებლები ერთნაირად ერთვებიან ღია საუბრებში, მოსწონთ მრავალფეროვნება და არავინ ცდილობს თავის შეხედულებათა თავს მოხვევას. ეკუმენურმა ძალისხმევამ, როგორიცაა

კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგი, ხელი შეუწყო განკურნებასა და ურთიერთპატივისცემას, გადალახა ისტორიული განხეთქილება. ეს შეხვედრები არა მხოლოდ თეოლოგიური, არამედ პრაქტიკულიცაა, რომელიც აყალიბებს სოლიდარობას საერთო პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა ლტოლვილების მდგომარეობა და გლობალურად ქრისტიანული მოწმობის შენარჩუნება. ეკუმენიზმის მეშვეობით ეკლესია ხდება მრავალფეროვნებაში ერთიანობის მოწმე, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობას საზოგადოებასა და მის ხალხს შორის.

მამა პატრიკ სარის

## ეკუმენური მოძრაობა მართლმადიდებელი ეკლესიის პერსპექტივით



იმისთვის რომ მივეახლოთ ჭეშმარიტებას, აუცილებელია გზაზე მოძრაობა, განვითარება. სრულიად გასაგებია ჩვენი მაცხოვრის მიერ მოცემული მცნება - პირველად ეძიებდეთ ცათა სასუფევლის სიმართლეს. სახარება გვასწავლის, რომ ძველი უნდა დავტოვოთ და ახალს მივეახლოთ. ერთხელ გაგონილზე ჯიუტად დგომა, ძიების შეწყვეტა, მსჯელობაზე, განსჯაზე უარის თქმა თავად ასეთი ქმედების ჩამდენისათვის ძალიან საზიანოა.

გავრცელებულია ბრიყვული და მავნებლური ტყუილი, თითქოს ეკუმენური მოძრაობა რაიმე სახით ანტიქრისტიანულია. სინამდვილეში ჩვენ მთელი სამყაროს, ყველასა და ყველაფრის ღმერთის შვილები ვართ. სწორედ ასე ითარგმნება სიტყვა „ეუკომენა“ და ეკუმენური მოძრაობაც ქრისტიანთა ერთობლივი სახელით საქმიანობს. დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებლთა მონაწილეობა ამ მოძრაობაში უმნიშვნელოვანებისა. სინამდვილეში ძალიან კარგია, რომ ბიბლიური და წმ. მამებისეული მდიდარი და მაცხოვნებელი სწავლება გათვალისწინებულია ქრისტიანთა ერთიან ხმაში.

მამა მიორბი წერობე

## რაითა ყოველი ერთ იყვნენ

ეკუმენიზმი ქრისტიანულ კონფესიებს შორის ჩემს ქალაქ მარსელში ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. კათოლიკებს, მართლმადიდებლებსა და პროტესტანტებს შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ, იმდენად, რომ საერთო რადიოსადგური გვაქეს! საბედნიეროდ! ეს მნიშვნელოვანია, რადგან ხმელთ-

აშუა ზღვის ამ პორტში ცხოვრობს უამრავი მუსლიმი და ათეიისტი - და ისინი ჩვენ გვაკვირდებიან! ეკუმენური მოძრაობა დაკვირვებისაგან წარმოშვა: ქრისტიანულ ეკლესიებს შორის განხეთქილება, ხშირი ძმათამკვლელი ომები არამორწმუნებისათვის ან სხვა აღმსარებლობისა თუ რელიგიის წარ-

მომადგენელთათვის ნამდვილი სკანდალი, თავის მომჭრელი ამბავი და საცდურიც კი იყო. როგორ შეუძლიათ ადამიანებს, რომლებიც ერთსა და იმავე ქრისტეს, ერთსა და იმავე სამებას, ერთსა და იმავე სიყვარულის მცნებას აღიარებენ და ქადაგებენ, ერთმანეთი არ უყვარდეთ? სხვებმა კი იხილონ, თუ როგორ ეპრძვიან ერთმანეთს? მაშინ როგორ დაიჯერება მათი ნათქვამი, თუ მათ ერთმანეთის სიყვარულიც კი არ ძალუდთ? თუკი სიტყვა „ეკუმენიზმი“ უხერხული და საჩიტირო გეჩვენებათ, მაშინ, მოდით, ვისაუბროთ მრავალფეროვნებაში არსებულ „ერთობასა და სიყვარულზე“, რადგანაც ერთობა სულაც არ ნიშნავს ერთფეროვნებას. თავად ქრისტე ლოცულობდა თავისი მოწაფეების ერთობისათვის: „რათა ყველა ერთი იყოს... რათა ორწმუნოს სოფელმა“ (იოან. 17, 21). ერთი, მაგრამ განსხვავებული, წმიდა სამების მსგავსად. „ჩემი მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ყველანი, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ“ (იოან. 13, 35). ქრისტიანთა ერთობის ეს ძიება ღრმად არის ფესვგადგმული ეკლესიის ისტორიაში, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში.

ჯერ კიდევ 1902 წელს, კონსტანტინოპოლის პატრიარქ იოაკიმ III-ის ენციკლიკაში, რომელიც გამოქვეყნდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქად მის აღსაყდრებასთან დაკავშირებით მართლმადიდებლური სამყაროს წარმომადგენელთა მილოცვის შემდეგ, საუბარია ქრისტიანთა ერთობაზე: მან გამოხატა თავისი მხურვალე სურვილი გაერთიანებისა ყველა მათთან, ვინც იზიარებს რწმენას ქრისტეში. იგი ხაზს უსვამს სხვადასხვა დასავლური ეკლესიის დოქტრინალური პოზიციების სირთულეებს, მაგრამ იმავდროულად ადასატურებს, რომ ერთობის ეს სურვილი მტკიცედ ასახავს მართლმადიდებლთა დამოკიდებულებას. სირთულის დასაძლევად, მისი თქმით, ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს პრაქტიკული წესებიდან გამომდინარე „განსხვავება“ (diaphora) და რას - „გაყოფა“ (diairesis).

1920 წელს, კიდევ ერთი ენციკლიკა გვევლინება ფუნდამენტურ ეტაპად ეკუმენური მოძრაობისათვის: კონსტანტინოპოლის პატრიარქ გერმანე V-ის მიერ გამოცემული ეს დოკუმენტი მოუწოდებდა „ეკლესიათა თანაზიარებისაკენ“ (Koinonia to Ekklesion), ეკლესიების „კურთხეული კავშირისაკენ“, რომლის განსახორციელებლად იწვევდა სხვადასხვა ტრადიციის მიმდევრებს, მონაწილეობა მიეღოთ ზიარების ცნების ირგვლივ არსებითი კითხვების ერთობლივ შესწავლაში. პატრიარქისათვის ეკლესიებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა



არის პირველი არსებითი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყეს „ყოველგვარი ურთიერთუნდობლობისა და სიმწარის გაუქმება“, რათა „აღორძინდეს და განმტკიცდეს სიყვარული ეკლესიებს შორის“. იქვე, როგორც სამუშაო შეთავაზება ეკლესიებს შორის სამომავლო თანამშრომლობისათვის, ჩამოთვლილია თერთმეტი ფუნდამენტური პუნქტი. აღნიშნული სია საფუძველი გახდა ეკლესიების მსოფლიო საბჭოს პროგრამული მუშაობისათვის მისი შექმნის დროს.

დღესდღეობით, მრავალრიცხოვანმა თეოლოგიურმა გადაწყვეტილებამ და შეთანხმებამ, განსაკუთრებით წმიდა პაპ იოანე პავლე II-ის პირადი ძალისხმევის წყალობით, შესაძლებელი გახადა მრავალი უთანხმოების გადაჭრა და ზოგიერთი აღმოსავლური ეკლესიის მოხსენიება არა „ერტიკიოსად“, არამედ ჩვენი ენისაგან განსხვავებულ ენაზე იმავე ჭეშმარიტების გამომხატველად. ეკუმენიზმის საფუძველს წარმოადგენს სიყვარულით მოსმენისა და შესმენის სწავლა - ეს ხომ სახარების საფუძველია!.. იესომ თქვა: „პირველი (მცნება) არის ‘ისმინე ისრაელ! უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთი უფალია. შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით, მთელი შენი ძალით“ (მარკ. 12, 29-30).

არ არსებობს ეკლესია სახარების გარეშე, არ არსებობს სახარება სიყვარულის გარეშე და არ არსებობს სიყვარული ორმხრივი და კეთილგანნებული მოსმენის გარეშე!

# ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის პირები

მართლწილი ბრძმენტინი

ტრადიციისამებრ, ეკლესიათა ეკუმენური საბჭოს რწმენისა და კონსტიტუციის კომისიამ და ქრისტიანთა ერთიანობის ხელშემწყობმა კათოლიკური ეკლესიის დიკასტერიამ ერთობლივად მოამზადეს ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეულის ტექსტები; კვირეული, ტრადიციულად, გაიმართება 18-დან 25 იანვრამდე პერიოდში. ეს თარიღი 1908 წელს დაადგინა მამა პოლ უოტსონმა, ქრისტიანული ერთობისა და გულმოწყალების ჭეშმარიტმა მოციქულმა და იგი მოქცეულია წმიდა პეტრეს კათედრის დღესასწაულსა და წმიდა პავლეს მოქცევის დღესასწაულს შორის; ამიტომაც იძენს სიმბოლურ დატვირთვას.

„გნამს ეს?“ - ფრაზა იოანეს სახარებიდან (11, 26) მომავალი ლოცვის კვირეულის თემაა, რაც შთაგონებულია იესოსა და მართას შორის დიალოგით, როდესაც იესომ პეტანიაში მოინახულა მართა და მარიამი, მათი ძმის, ლაზარეს, გარდაცვალების შემდეგ. კვირეულისათვის საჭირო ლოცვები და მოსაზრებები ჩრდილოეთი ტანაზონიში, ბოზეს სამონასტრო საკრებულოს ბერ-მონაზვნებმა შეადგინეს. 2025 წელს ასევე ალინიშნება ქრისტიანთა პირველი საეკლესიო კრების 1700 წლისთავი, რომელიც გაიმართა ნიკეაში, კონსტანტინოპოლის მახლობლად, 325 წელს; ეს ხსოვნა უნიკალურ შესაძლებლობას იძლება, რომ დავითიქდეთ და ალვნიშნოთ ჩვენი საერთო ქრისტიანული რწმენა, როგორც ეს გადმოცემულია ამ კრების მიერ ჩამოყალიბებულ მრნამში, რწმენა, რომელიც დღესაც ცოცხალი და ნაყოფიერია. მის გადაწყვეტილებებს შორის ასევე დადგენილ იქნა ალდგომის საერთო თარიღი.

შემდგომმა განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ შედეგად მოიტანა ის, რომ ხშირად აღმოსავლეთი და დასავლეთი აღდგომის ალნიშვნის სხვადასხვა თარიღს განსაზღვრავდნენ. იმ ცვლილების მოლოდინში, რომ აღდგომის თარიღი ყოველ წელს დაემთვევა, 2025 წლის იუბილეზე ბედნიერი დამთხვევა მოხდა და როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ეკლესიები ერთსა და იმავე დღეს ალნიშნავენ აღდგომის დღესასწაულს. „მაცხოვნებელ მოვლენათა არსი, რასაც ყველა ქრისტიანი აღნიშნავს აღდგომის კვირას, 2025 წლის 20 აპრილს, ამ ჩვიდეტი საუკუნის გასვლის შემდეგაც კი არ

შეცვლილა. ერთიანობის ლოცვის კვირეული ქრისტიანებისათვის წარმოადგენს იმის პირობას, რომ გაააღიზონ და აღადგინონ ეს მემკვიდრეობა და მიუსადაგონ ის თანამედროვე კულტურას, თავისი სხვადასხვა კავშირით, იმაზე უფრო კომპლექსურს, ვიდრე ნიკეის კრების დროს იყო ქრისტიანული სამყარო. სამოციქულო რწმენით ერთად ცხოვრება ნიშნავს არა იმდროინდელი საღვთისმეტყველო შეპირისპირების განახლებას, რაც საუკუნეები გრძელდებოდა, არამედ, პირიქით, ბიბლიური საფუძვლების ხელახლა წაკითხვას ლოცვის თანხლებით, და საეკლესიო გამოცდილებას, რამაც განაპირობა კრების აღნიშვნა და დადგენილებების მიღება“. 2025 წლის ლოცვის კვირეული გვიწვევს, რომ გავიზიაროთ ეს საერთო მემკვიდრეობა და უფრო მეტად ჩავულრმავდეთ რწმენას, რომელიც ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, გვაერთიანებს“.

ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვა, როგორც პირადად, ასევე ერთობლივად, შეგვახსენებს, რომ „თითოეული ჩვენგანი ზიარებაში იმყოფება იმ მორნმუნებთან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ლოცულობენ, რათა შექმნან ქრისტეს ეკლესიის უფრო ძლიერი და თვალსაჩინო ერთიანობა“.

## იმედით სავსე შეხვედრა

„საღვთისმეტყველო დიალოგი შეუცვლელია ერთიანობისაკენ მიმავალ გზაზე, რადგან ერთობა, რისკენაც ვისწრაფვით, რწმენის ერთიანობაა, ოლონდ ჭეშმარიტების შესახებ დიალოგი





არასდროს უნდა დაცილდეს დიალოგს გულმოწყალებასა და ცხოვრებაზე: ყოვლისმომცვლელ, ადამიანურ დიალოგს“. ასე განაცხადა პაპმა ფრანცისკემ აუდიენციაზე, სადაც მან მიიწვია აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის კათოლიკოს პატრიარქი მარ ავა III (2024 წლის 9 ნოემბრი) - პავლე II-ისა და მარ დინხა IV-ის მიერ „საერთო ქრისტოლოგიურ დეკლარაციაზე“ ხელმოწერის ოცდაათ წლისთავზე - და კათოლიკე ეკლესიასა და აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიას შორის საღვთისმეტყველო დიალოგის შერეული კომისია; ამ დოკუმენტით წერტილი დაესვა 1500-წლიან ქრისტოლოგიურ დაპირისპირებას, რომელიც ეფესოს კრებიდან (431) მომდინარეობდა. „რწმენის ერთიანობა უკვე მიღწეულია ჩვენი ეკლესიების წმიდანთა მიერ, - დასძინა პაპმა, - ისინი არიან ჩვენი საუკეთესო მეგზურები სრული თანაზიარების გზაზე. ამიტომაც, თქვენი უნმიდესობისა და ქალდეის ეკლესიის პატრიარქის თანხმობით, რაც ასევე წახალისებულია კათოლიკე ეკლესიის ბოლო სინოდის მიერ სინოდურობის შესახებ, რომელმაც გაიხსენა, რომ სხვა ეკლესიების წმიდანების მაგალითი არის „ძღვენი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, მათი მოხსენიება შევიტანოთ ჩვენს ლიტურგიულ კალენდარში. ამასთან დაკავშირებით, მოხარული ვარ განვაცხადო, რომ ღირსი ისააკ ნინეველი, აღმოსავლეთ-სირიული ტრადიციის ერთ-ერთი უდიდესი მამა, ყველა ტრადიციის მიერ მოძ-

ღვრად და წმიდანად აღიარებული, შეტანილი იქნება რომაულ მარტიოროლოგიაში“. ღირსი ისააკ ნინეველის შეყვანა რომაულ მარტიოროლოგიაში „ადასტურებს, რომ წმიდანობა არ განისაზღვრება გაყოფით და აგრძელებს არსებობას აღმსარებლობის საზღვრებს მიღმა. როგორც ვატიკანის მეორე კრებამ განაცხადა: „სამართლიანია და ხსნის მომტანია ქრისტეს სიმდიდრეების და ძალთა მოქმედების აღიარება სხვათა ცხოვრებაში, ვინც ქრისტეს მოწმობს, ზოგჯერ საკუთარი სისხლის ფასადაც“ (Unitatis Redintegratio 4).“

„იმედი გვაქეს, რომ ღირსი ისააკ ნინეველის რომაულ მარტიოროლოგიაში შეყვანა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მდიდარი ქრისტიანული სულიერების მემკვიდრეობის მოწმეა, ხელს შეუწყობს მისი სწავლების თავიდან გაცნობას და ქრისტეს ყველა მოწაფის ერთიანობას“. მიუხედავად იმისა, რომ იგი ეკუთვნოდა ეკლესიას, რომელსაც სხვა ეკლესიებთან განყვეტილი ჰქონდა ზიარებას, რამეთუ არ იღებდა ეფესოს 431 წლის კრებას, ღირსი ისააკ ასურის ნანარმოებები ყველა იმ ენაზე ითარგმნა, რომელზედაც საუბრობდნენ ქრისტიანები: ბერძნულ, არაბულ, ლათინურ, ქართულ, სლავურ, ეთოპიურ, რუმინულ და სხვ. ასე გახდა ისააკ ნინეველი მნიშვნელოვანი სულიერი ავტორიტეტი, განსაკუთრებით ქრისტიანული ტრადიციის სამონასტრო წრებში, რომლებიც მყისიერად მიაგებდნენ მას თაყვანს თავიანთი წმიდებისა და მამების გვერდით.

# იუბილე - დიდი დღესასწაული ყველასთვის

ოდესლაც, დიდი ხნის წინ, ხალხი ცხოვრობდა ძალიან ნაყოფიერ მიწაზე. მთელი წლის განმავლობაში ისინი გულმოდგინედ მუშაობდნენ მინდვრებში, რომ საკვები არ მოკლებოდათ, მაგრამ ყოველ 50 წელიწადში ისინი რაღაც განსაკუთრებულს აკეთებდნენ: მუშაობას წყვეტდნენ და ზემობდნენ! ამ განსაკუთრებულ წელს ენოდებოდა საიუბილეო, რომლის განმავლობაშიც ყველა ხარობდა და ერთმანეთს ეხმარებოდა. ვისაც ბევრი ებადა, გაჭირვებულს უნაწილებდა; ვინც შეცდომებს უშვებდა, ბოდიშს იხდიდა. ეს იყო ცხოვრების თავიდან, სუფთა გულით დაწყების პერიოდი.

## რატომ აღინიშნება იუბილე?

რატომ აღინიშნავდნენ იუბილეს ყოველ 50 წელიწადში? ეს იყო საშუალება გაეხსენებინათ, რომ მიწა ყველას ეკუთვნოდა და ერთმანეთზე უნდა ეზრუნათ. ეს იყო გამოხატულება დიდი სიყვარულისა ერთმანეთის მიმართ, რაც მათ აერთიანებდა და თავს ერთ ოჯახად აგრძნობინებდა.

## როგორ აღინიშნება იუბილე ეკლესიაში?

ეკლესიაშიც აღინიშნება იუბილე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაულია, ცოტაოდენ იესოს შობასაც ჰგავს, მაგრამ უფრო ხანგრძლივია. იუბილეს განმავლობაში ყველა ქრისტიანი ვალდებულია რაიმე განსაკუთრებული გააკე-

თოს: მეტი ილოცოს, დაეხმაროს გაჭირვებულებს და მიუტევოს მათ, ვინც აწყენინა.

## რა ლონისძიებები იმართება იუბილეს განმავლობაში?

ამ დროს იხსნება წმიდა კარი: ეს განსაკუთრებული კარია, რომელიც მხოლოდ იუბილეს პერიოდში იხსნება. როცა ამ კარში გადიხარ, თითქოს ხვდები ახალ სამყაროში, სადაც ყველაფერი შესაძლებელია; ადამიანები კეთილსაქმეებს სჩადიან: ეხმარებიან სხვებს, გაჭირვებულებს უძღვნიან სათამაშოებს ან ტანსაცმელს, მუშაობენ მოხალისეებად. მიდიან წმიდა ადგილების მოსალოცად, მაგალითად, ეკლესიასა ან მონასტერში ლოცვისა და მედიტაციისთვის. მიუტევებენ და პატიებას ითხოვენ: ეს არის დრო შერიგებისა იმ ადამიანებთან, რომელთაც ვაწყინეთ და პატიება მათთვის, ვინც გვაწყენინა.

## რატომ არის მნიშვნელოვანი იუბილე?

იუბილე მნიშვნელოვანია, ვიანიდან ის გვახსენებს, რომ ჩვენ, ყველანი, ღმერთის შვილები ვართ და უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. ეს არის დრო ყველაფრის თავიდან დაწყებისა, სწორად და სიკეთით ცხოვრების დრო, რათა მსოფლიო უფრო სამართლიანი და მეგობრული იყოს.

**და შენ რას გააკეთებ მომავალი იუბილეს განმავლობაში?**

Iner Georgia



# და იესოს მარია (ლურია) მარჩელი

(30. 12. 1956 - 26. 11. 2024)

„სიკუდილამდე ერთგული იყავი და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს“ (გამოცხ. 2, 10)  
„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (იოან. 20, 28)



საყვარელო დაო იესოს მარია, უფლის სიტყბოებავ,

ამ წერილით მსურს მადლობა შევწირო უფალს იმ საქმისათვის, რაც შენში მოიმოქმედა ცხოვრების ამ 67 წლის მანძილზე. ამიერიდან შენც შეუერთდები ქალწულ მარიამის საგალოებლს: „ვინაიდან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს...დიდი საქმე მიყო ძლიერმა და წმიდაა სახელი მისი“ (ლუკ. 1, 48-49).

როდესაც სინათლის სხივთა კონა კარგად დანახნაგებულ ბრილიანტს ეცემა, ის არა მხოლოდ მისი ზედაპირიდან აირეველება, არამედ მის შიგნით აღწევს და მთელ კრისტალს მოჰყენს ელვარებას. სხივები ისეთი ნაირფერი ელვარებით გაიშლება, გეგონება ბრილიანტის შიგნიდან გამოდიოდეს. შენც ასე იყავი იესოს მარია, როგორც ბრილიანტის ნატეხი, სულინმიდის ნანილი, მის შუქს აირეველავდი, ამას მოწმობს კიდეც შენი ნათლობის სახელი: ლურია, სინათლე. შენ დაიბადე და ბავშვობა გაატარე ასკოლი პიჩენოში, წმ. ბართოლომეოს საკრებულოში დადიოდი და აქვე გაიარე კათაკმევლის გზა. აქ გაეცანი წმიდა წერილის სიახლესა და სილამაზეს; ნირვებზე გიტარის თანხლებით გალობდი. შემდეგ უფალმა გააღვიძა შენში მოწოდება ღვთივშენირული ცხოვრებისადმი და ბენედიქტელთა ჩაკეტილ მონასტერს მიაშურე, ოფიდაში. აქ წარმოთქვი შენი მყარი და შეუპოვარი „დიახ!“, გამოწვევად მიიღე ყველა დაბრკოლება, მათ შორის, თოვლიც. ეს მოხდა 1993 წლის 6 იანვარს.

მონასტერში ახალი სულიერი გზა გელოდა: უფრო ღრმად გაცნობოდი ღმერთს და საკუთარ თავს. მონასტრის დებმა მიგიღეს, შეგიყვარეს, შემოსვის დროს გეწოდა სახელი წმიდა მონაზონისა, რომელიც შენამდე მოღვაწეობდა და რომლის ცხოვრებასაც კარგად იცნობდი: და იესოს მარია ვოლპი, რომელიც 92 წლის ასაკში მიიცვალა. 1995 წლის 21 მარტს ღმერთს პირველი სამონასტრო აღთქმები დაუდე და 1998 წლის 19 აპრილს სამუდამოდ მიუძღვენი მას თავი.

მონასტერში დამწყებ მონაზონთა აღმზრდელად მიგიწვიეს და, შეიძლება ითქვას, სიმტკიცით აღზარდე ზოგიერთი დაუმორჩილებელი სული. წლების განმავლობაში წმიდა ნირვისთვის პოს-

ტიას დამზადების პროცესში იყავი ჩართული, წმიდა წირვებს შენი ლამაზი ხმითაც აცოცხლებდი, გიტარისა და ციტრას თანხლებით. ჩვენი მონასტრის კედლის ფრესკები აღადგინე, რითაც დაძლიერ მაღალ ხარაჩობზე ასვლის შიში. აღდგომის სანთლები მოხატე და უამრავი ხატი დაწერე (განსაკუთრებული იყო იქსოს თვალები, რისი ხატვაც მარტივად გამოგდიოდა), ლიტურგიული სამოსელიც შეგიკერავს, მონაზვის კაბები.

შენი სულიერი და ფიზიკური ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში თანხმობა განაცხადე საქართველოში წასვლაზე. ღმერთს მიენდე და საქართველოში ახალი ცხოვრება დაიწყე. განსაკუთრებული მადლობა, რამეთუ 12 წლის მანძილზე შეიყვარე ეს მისია, მადლობა იმ სიყვარულის გამო, რასაც იჩენდი ქართველი ხალხის, მღვდლებისა და ეკლესიასთან დაახლოებული ბავშვების მიმართ.

ამ წლის იანვრის თვეში დაავადების პირველი ნიშნები შენიშნე. მრავალი კლინიკური კვლევის შემდეგ, შენდა სამწუხაროდ, აპრილის თვეში იჭალაში მოგიწია დაბრუნება, აქ დაიწყო გოლგოთის აღმართზე შენი სვლა, საავადმყოფოდან საავადმყოფოში გინევდა სიარული, რომ დაგედგინა, რა სახის სიმსივნესთან გქონდა სქმე. ერთ დღესაც გამანდე: „იმ დღიდან, როცა მითხარი, რომ სიმსივნე მქონდა, მშვიდად ვარ და ხალისით ვიღებ ავადმყოფობას, როგორც ძვირფას დროს, როგორც უფლის წყალობას. მინდა ეს წყალობის დრო ტყუილად არ გავფლანგო, სიკვდილის არ მეშინა“.

ივნისში დიაგნოზიც დაგისვეს: იშვიათი და აგრესიული ფორმის სარკომა, ფილტვებში, თირკმელებსა და ხერხემლის მაღებში გასული მეტასტაზებით. ქიმიო და რადიოთერაპიის კურსი დაიწყე და იმედი გქონდა, რომ სიმსივნე დაუძლურდებოდა და ისევ შეძლებდი საქართველოში ჩამოსვლას, თუნდაც ინვალიდის ეტლით. როგორც გვაუწყებს ფსალმუნი (40, 4): „უფალი გაამაგრებს მას მისი სწეულების სარეცელზე; მთელ მის სარეცელს შენ შეცვლი მისი ავადმყოფობის ჟამს“. შენი ღიმილით ნუსხავდი ყველა მნახველს: ექიმებს, სანიტრებს, დებს, მეგობრებს. ვინც კი მოგიკითხავდა, როგორ ხართო, ყველას პასუხობდი: „კარგად“. არ წყვეტდი ინტერესს და გატაცებას მომღერალ რენატო ძეროს მიმართ, ფეხბურთის მიმართ, სპორტული თამაშების მიმართ, საავადმყოფოშიც გახარებული იყავი, როცა მათ გადაცემებს ტელევიზიონ ადევნებდი თვალს.

ოქტომბერში, როდესაც უშედეგო გახდა ქიმიოთერაპიის კურსის გაგრძელება და შენი ჯანმრთელობაც გაუარესდა, დათანხმდი პალიატიურ ცენტრში გადასულიყავი, სან ბენედეტოს საავადმყოფოს ჰოსპიტში. 40 დღე დაჰყავი იქ, როგორც



იესომ 40 დღე უდაბნოში, უმძაფრესი ტკივილით, რაც ამ სახის სიმსივნემ იცის, მაგრამ ყოველდღიურად უფლის ხორცი განუგეშებდა.

26 ნოემბერს, 7:30 სთ-ზე, გამთენისას, როცა წირვა დაიწყო ოფიდას მონასტერსა და სლოვაკეთის მისიაში, შენმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა და შენი ამქვეყნიური ცხოვრება დაასრულე.

დაო იესოს მარია, ვინც კი ლოცვას გთხოვდა, ყველას თანხმობით პასუხობდი. ახლა კი, უწინდელზე მეტად, ილოცე ჩვენთვის, შენი საკრებულოსათვის, ეკლესისათვის, განსაკუთრებით ეკლესისათვის საქართველოში, რაბათის მონასტრის მისისათვის. ევედრე უფალს მოწოდებისათვის, რათა შენი ცარიელი ადგილი შეივსოს სამონასტრო გუნდში. მადლობა შენი ლამაზი სიცოცხლისათვის, მადლობა, რამეთუ შენ ღმერთის სილამაზის ანარეკლი იყავი, კომპრომისების გარეშე და მთელი სიწრფელით. მადლობა შენი შეუპოვრობის, მორჩილების, თავმდაბლობის, მრავალი ნიჭის გამო, მადლობა იმ სიყვარულისათვის, რასაც წმიდა წერილის, ეკლესის, ღარიბი ხალხის მიმართ იჩენდი.

როგორც წმიდა ფრანცისკე მიუგებს ძმა მასეოს: „(...) უფალმა ამირჩია, მხდალი ქმნილება, რომ ეს დიდებული საქმე მოემოქმედა (...), რათა შეერყია სიბრძნე წუთისოფლისა და შეეცნო ყველას, რომ ყოველი სიკეთე და სათხოება მისგან მოედინება და არა ქმნილებისგან, და თუ ვინმე დიდებას იქადის, უფალში იქადდეს, მასში, ვისაც მართებს საუკუნო პატივი და დიდება“ (შდრ. Fioretti di S. Francesco, X).

მადლობა, უფალო, რამეთუ ირჩევ უმცირესთ, წამოაყენებ მდაბლებს და დიდ საქმეებს მოიმოქმედებ მათში. მადლობა, უფალო, რამეთუ აირჩიე ჩვენი და მარია იესოსი, ვითარცა ლამპარი, შენი ბრწყინვალე ნათლის გასავრცელებლად. ამენ.

და მარია მარია, რამეთის მონასტრის უფროსი

# წმიდა აგნესას ფუნთუმები

ვერიკო წოზაძე

უძველეს წყაროთა მიხედვით, წმიდა აგნესა (Agnes) რომაელის, ყველაზე ახალგაზრდა წამებული ქრისტიანის, მონამებრივ აღსასრულად მიჩნეულია 304 წლის 21 იანვარი. იგი აღესრულა ჯერ კიდევ სავსებით ნორჩი, დაახლოებით 12-13 წლისა, და იქცა სიწმინ-

დის, უმანკოებისა და სისპეტაკის სიმბოლოდ. მე-14 საუკუნეში, სევილიაში, წმიდა აგნესას მონასტრის კლარისელმა მონაზვნებმა შექმნეს დესერტი: წმიდა აგნესას ფუნთუმები - Bollitos de Santa Inés. მისი მომზადება მარტივია.



## ინგრედიენტები:

250 გრ. ფევილი  
100 მლ. წყალი  
70 გრ. ზეითუნის ზეთი  
7 გრ. საფუარი  
მარილი  
1 კვერცხი  
სეზამის მარცვლები

## მომზადება:

შეურიეთ საფუარს ფევილი და ცოტა მარილი. დაუმატეთ თბილი წყალი და ცომის მოზელისას თანდათან შეურიეთ ზეთი. მოზილეთ ცომი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, შემდეგ გაყავით ნაწილებად, გააბრტყელეთ თითოეული გუნდა და მიეცით ასო „S“-ის ფორმა.

მოათავსეთ ისინი საცხობ ფირფიტაზე ერთმანეთისაგან დაშორებით (გამოცხობისას ოდნავ აფუვდება). ფუნთუმებს წაუსვით ათქვეფილი კვერცხი და დაუმატეთ სეზამის მარცვლები. გამოაცხვეთ 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, სანამ ოდნავ ოქროსფერი არ გახდება.

მოამზადეთ სიროფი: ჭიქაში ჩაყარეთ შაქარი, დაუმატეთ ცოტა წყალი, მოურიეთ იქამდე, სანამ არ გასქელდება და ფუნთუმებს გადაუსვით.

# როგორ ვუამბოთ ბავშვებს შობის შესახებ?

მარტინ მიხეილ სურმავა

## როგორ ვუამბოთ ბავშვებს შობის შესახებ?

სამი წლის ასაკიდან ბავშვები უკვე აღიქვამენ სა-დლესასწაულო გარემოს. ამიტომ შეგიძლიათ მოკლედ უამბოთ თქვენს პატარას ამ საოცარი მოვლენის შესახებ. ამისათვის არსებობს რამდენიმე საშუალება: ერთად წაიკითხოთ საბავშვო ბიბლია; უამბოთ პატარას შობის ამბავი; ერთად უყუროთ ვიდეოს ან მულტფილმებს შობის ისტორიის შესახებ.

### რას ნიშნავს შობა?

25 დეკემბერს მრავალი ადამიანი აღნიშნავს შობას. დლესასწაულმა ეს სახელი იმიტომ მიიღო, რომ ამ დღეს, დიდი ხნის წინ, დაიბადა ადამიანი, სახელად იქსო ქრისტე. ბავშვის დაბადება ყოველთვის სასიხარულო მოვლენაა მშობლებისა და ახლობლებისათვის. ნათესავები და მეგობრები ულოცავენ ოჯახს, უსურვებენ პატარას ყოველგვარ სიკეთეს და უძლვნიან საჩუქრებს. შემდეგ კი, ყოველწლიურად, სწორედ ამ დღეს, ისინი მხიარულად აღნიშნავენ დაბადების დღეს.

ისო ქრისტემ ამქეცყნად მრავალი კეთილი საქმე მოიმოქმედა: განკურნა ადამიანები სწორებისაგან, იხსნა ისინი ცუდი საქციელისაგან, დაეხმარა მათ სიტყვითა და საქმით. მას შემდეგ მის დაბადების დღეს ჩვენ დიდ დლესასწაულად მივიჩნევთ და ყოველწლიურად აღვინიშნავთ.

### ისო ქრისტეს შობის ამბავი

ძელად, ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდნენ მეუღლები, იოსები და მარიამი. მალე მათ უნდა შესძენოდათ პატარა. მარიამმა იცოდა, რომ ეყოლებოდა არა ჩვეულებრივი შვილი, არამედ ღვთის ძე. ეს ამბავი მას ამწინ ზეციდან ჩამოსულმა ანგელოზმა, ახარა, რომ იგი შობდა ღვთის ძეს, რომელიც იხსნიდა ყოველ ადამიანს.

იმპერატორმა ავგუსტუსმა, რომელიც მაშინ რომს განაცემდა, გადაწყვიტა ჩაეტარებინა მოსახლეობის ალ-



ნერა. ამისათვის საჭირო იყო ყველა დაბრუნებულიყო იმ ადგილას, სადაც დაიბადა. ამიტომ იოსები და მარიამი ნაზარეთიდან მშობლიურ ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ მისულებმა, ვერ იპოვეს სახლი, სადაც ლამის გათევა შეიძლებოდა და იძულებული იყვნენ თავი შეეფარებინათ გამოქვაბულისათვის, რომელსაც მწყემსები შინაური ცხოველების სადგომად იყენებდნენ. იმ ლამეს მარიამს შეეძინა ვაჟი, შეახვია იგი და დააწვინა თივაზე, ბაგაში.

იმავე ლამეს ცაზე ახალი ვარსკელავი აკიაფდა. ანგელოზი გამოეცხადა მწყემსებს, რომლებიც მახლობლად ცხოვრებს პატრონობდნენ და აუწყა მათ სასიხარულო ამბავი, რომ დაიბადა მაცხოვარი, ისო ქრისტე. მაცნენ მწყემსებს განუმარტა, სად უნდა ეპოვათ ყრმა და ისინიც გაემართნენ გამოქვაბულისაკენ ახალშობილი ღვთის ძის მოსანახულებლად. ცხოველებიც მოვიდნენ იესოს სანახავად.

სანამ ქრისტე იზრდებოდა, იგი ჩვეულებრივი ბავშვი იყო. უკვე მოზარდი, საუბრობდა ღმერთის შესახებ, ადამიანებისადმი მის სიყვარულზე, თუ როგორ უნდა იცხოვო ისე, რომ სხვებს ცუდი არ გაუკეთო, რომ მნიშვნელოვანია, შეგძლოს მიტევება და გაჭირვებულთა დახმარება. ამიტომ, ქრისტეს შობის დლესასწაული არის ოჯახების ერთიანობის, ერთმანეთისადმი გულწრფელი სურვილების, შერიგებისა და მიტევების დრო, ზრუნვა მათზე, ვისაც უჭირს, ასევე, კეთილი საქმის დასაწყისი.

შობა ადამიანებისადმი ღვთის სიყვარულის სიმბოლოა.



## იმედის მომლოზველერი

პიმინი

ტექსტი: პიერანჯელო სეკუერი  
მუსიკა: ფრანჩესკო მენეჯელლო

*• = c.69*

**Organino**

**Voci**

**Org.**

*Confiducia + Ass. RIT.*

ნა - პერ - წვა - ლო წე - მო ი - მე - დი - სა, ებ გა -

ლო - ბა ჟე-ცად ძლ - ებე - დებ!

წმი-და პალ - თავ უკე-დაგ ხი- ცო -

ცხლი - ბა, სა - გალ გზა - ჟე მო - გე - ნდო - ბი ჟე!

*Fine*

12 *Strofe*

Voci

1. ყვე - ლა ე - ნა, ხა-ლხი, ე - რო - ვნე - ბა,  
 2. ღმე - რთი გვხე-დაგბ წყა-ლო-ბიო და თმე - ნიო,  
 3. ცახ ა - ხე - ღე და გა - კვე-თე ქა - რი,

ნა-თელს პპო-გებს შენს ნა-თქვამ ხი-  
 შობს გან - თო - ადს ა - ხად მო - მა -  
 არ ხა - მო - რჩე, ღმერ-თი ი - შეა

Org.

16

Voci

1. ტყვა - ში, შე - ნი შვილ - ნი სუსტი - ნი, გა - ფა - ჩრულ - ნი, სულს ით -  
 2. ვლი - ხა, ძა - ხა ბი - წა ახ-ლად ი - შვა, დროს გა -  
 3. ქა - მში, ქა გან - ბა ცდა ხი - ყვა - რე-ლის გა - მი, და მდე -

Org.

19 *Al Rit.*

Voci

1. ქა - მენ შენს ხა - ყა-რელ ძე - ში. ნა - პერ -  
 2. ა - პობს სუ - ლი - წმი - და ღვიძი - ხა,  
 3. ვა - ლი პპო-გებს ჭე - შმა - რიტ გახას.

Org.



ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏԻ Ա ԳԱԼՈՒՅՈ ՀԵԿՏԱԿԱՆ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ԽԱՆՈՒՐ ԱՐՄԵՆԻԱ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ԽԱՆՈՒՐ ԱՐՄԵՆԻԱ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ԽԱՆՈՒՐ ԱՐՄԵՆԻԱ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

E-mail: zaba-jurnali@gmail.com Հայության Ն 1853, քառակա Խեմի Արշակունի 895 Հայք, © ՀԱՅԱ

ISSN 2720-8001



9 772720 800000